



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 26
01/07/2015

26-06-4-201507011525



დადგენილება № 26

2015 წლის 1 ივლისი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში (ვებგვერდი , 31/12/2014 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016206) დაჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **1 819 000 ლარით**:
გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 50 000 ლარით
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის №1132 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **50,0 ათ. ლარი**. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **50.0 ათ. ლარი**;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **319 000 ლარით**;
კერძოდ: - საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი - **160 000 ლარით**;
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - **52 000 ლარით**;
- შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **31 000 ლარით**;

- შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - **58 000** ლარით;
- შემოსავალი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან - **18 000** ლარით;

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო **1 450 000** ლარი

შემცირდეს:

შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **285 455** ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა დაფინანსება **285.455** ათ. ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **215.755** ათ. ლარით;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა - **69.7** ათ.ლარით;

შესაბამისად შემცირდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

ა) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი **03 02 05-61.1.1.5.**) – **215.755** ათ. ლარით;

ბ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა(ორგანიზაციული კოდი **03 05 -2.2.10.14.**) – **69.7** ათ.ლარით;

შემცირდეს:

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - **01 02 -2.2.10.14**) – **6,0** ათ. ლარით;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი -**01 01 -2.2.10.14**) – **0,4** ათ. ლარით;

გაიზარდოს:

ე) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობი (ორგანიზაციული კოდი **03 02 05-61.1.1.11.**) – **50,0** ათ. ლარით;

ვ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი **03 02 05-61.1.1.1.**) – **138,0** ათ. ლარით;

ზ) გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი **03 01 01-61.1.1.5.**) – **18,3** ათ. ლარით;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი -**05 02 02 - 2.5.**) – **25,0** ათ. ლარით;

ი) კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები სუბსიდიის ნაწილში (ორგანიზაციული კოდი **03 02 03 -2.5**) – **90,0** ათ.ლარით;

კ) შექმნილ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა სოციალური დახმარების (ფულადი ფორმით) ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 06 02 07 – 2.7.2.1.) – 30,0 ათ.ლარით;

ლ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შექმნა რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ორგანიზაციული კოდი -01 01 - 61.1.2.2.20.) – 3,0 ათ. ლარით;

მ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შექმნა რომელიც არ არის კლასიფიცირებული (ორგანიზაციული კოდი -01 02 - 61.1.2.2.20.) – 1,6 ათ. ლარით;

ნ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა, კომპიუტერის შექმნა (ორგანიზაციული კოდი - 01 02 - 61.1.2.2.3.) – 2,4 ათ. ლარით;

ო) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპიუტერული ტექნიკა (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.2.3.4.3.) – 5,0 ათ. ლარით;

პ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯები (ორგანიზაციული კოდი -01 02 -2.2.4.) – 5,0 ათ. ლარით;

ჟ) სკოლამდელი განათლების დაფინანსება სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 04 01 -2.5) – 0,7 ათ.ლარით;

რ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 01 04- 2.2.10.14.) – 6,0 ათ.ლარით;

ს) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავ/საპოხი მასალების შექმნის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი -01 01 -2.2.8.1.) – 0,4 ათ. ლარით;


ტ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი 03 09 -2.8.2.2.)- 1450,0 ათ.ლარით;

სულ გაიზარდოს 1 819 000 ლარით

3. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე